CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

კვლევითი დოკუმენტი

იურიდიული მიმოხილვა - სოციალური საწარმოების საბაზისო ვალდებულებები სურსათის უვნებლობის სფეროში

თბილისი
2016

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია გაზარდოს სოციალური მეწარმეების ცნობიერება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და იმ ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ, რომლებიც 2013 წლის შემდეგ, საქართველოს ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად ამოქმედდა.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოში მოქმედი 16 სოციალური საწარმოსა და დღის ცენტრის წარმომადგენელი, იმის დასადგენად, თუ რამდენად ფლობდნენ ინფორმაციას სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული საბაზისო სტანდარტების შესახებ. კვლევითი დოკუმენტი მიმოიხილავს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც სოციალური მეწარმეებისა და მსგავსი ბიზნეს-ოპერატორების საბაზისო ვალდებულებებს არეგულირებს სურსათის უვნებლობის სფეროში.

გამოკითხვის ზოგადი სურათის საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობას სმენია სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედი ვალდებულებების შესახებ, თუმცა, მათ არა აქვთ ინფორმაცია ასეთი მოვალეობების მარეგულირებელი სამარლებრივი აქტების თაობაზე. ორგანიზაციების დიდი ნაწილი სურსათის უვნებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს ასრულებს დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე. განსაკუთრებით, ეს ეხება სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სურსათის უვნებლობის შემოწმებისა და პროდუქტის მიკვლევადობის ვალდებულებებს. რესპოდენტების უმრავლესობას ასევე აქვს ინფორმაცია ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის სავალდებულო პროცედურის შესახებ, რასაც ვერ ვიტყვით ცხოველური წარმოშობის პროდუქტის მიმწოდებელი ბიზნეს-ოპერატორების აღიარების შესახებ.

გამოკითხვის ფონზე, ნათელია, რომ რესპოდენტი ორგანიზაციების წარმომადგენლები საჭიროებენ ცნობიერების ამაღლებას და დამატებით ინფორმაციას სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედი ვალდებულებების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მკვლევარი: ირაკლი მხეიძე

ფინანსური მხარდამჭერი :

პური მსოფლიოსთვის;

ევროკავშირი

სარჩევი

შესავალი 5

1. რეგისტრაციისა და აღიარების ვალდებულება 6

1.1. რეგისტრაცია 8

1.2. აღიარების პროცედურა 10

1.3. აღიარების შეჩერება და გაუქმება 12

1.4 ინიცირებული კანონპროექტი 12

2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები 14

2.1. გამოკითხვის შედეგები 14

2.2. ,,ტექნიკური რეგლამენტი – სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი'' 16

2.2.1.ჰიგიენური მოთხოვნები პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების მიმართ 16

2.2.2.მოთხოვნები საწარმოს მიმართ 17

2.2.3.მოთხოვნები იმ სათავსის მიმართ, რომლებშიც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება და გადამუშავება 17

2.2.4. მოთხოვნები წყალმომარაგებისა და კანალიზაციისადმი 18

2.2.5.მოთხოვნები აღჭურვილობისა და მოწყობილობებისადმი 18

2.2.6.მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ 19

2.2.7.სურსათის/ცხოველის საკვების შეფუთვისათვის საჭირო მოთხოვნები 19

2.2.8.ნარჩენების შეგროვება და გატანა 19

2.2.9.დეზინფექცია 20

2.2.10.მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების ტრანსპორტირებისადმი 20

2.2.11.პერსონალის პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობის მდგომარეობა 20

3. სურსათის უვნებლობის ვალდებულება 21

3.1. ზოგადი ვალდებულებები 21

3.2. ქიმიური და ფიზიკური, ხარისხისა და უსაფრთხოების მახასიათებლები 24

3.2.1. მოქმედი რეგულაცია 24

3.2.2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება ,,სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" 25

3.2.3. მეორე ნორმატიული აქტი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება - ,,სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე'' 26

3.3.გამოკითხვის შედეგები 27
4. მიკვლევადობა 27

შესავალი

საქართველოს ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფონზე, ქვეყანაში უფრო და უფრო იხვეწება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები და მეტად ინტენსიური ხდება მათი შესრულების კონტროლი. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სოციალური საწარმოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ფლობდნენ ინფორმაციას იმ ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ, რომლებიც 2013 წლის შემდეგ[1] ამოქმედდა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, გაზარდოს სოციალური მეწარმეების ცნობიერება ზემოთ აღნიშნული რეგულაციების თაობაზე და მოკლედ მიაწოდოს ინფორმაცია იმ ვალდებულებების შესახებ, რომელთა შესრულებაც მათ ყოველდღიურ საქმიანობაში ესაჭიროებათ.

დოკუმენტში მოცემულია საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების [2] და დღის ცენტრების [3] გამოკითხვის შედეგები, რომლის დროსაც აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა[4] უპასუხეს კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენად ფლობენ ინფორმაციას იმ საბაზისო სტანდარტების თაობაზე, რომლებიც სურსათის უვნებლობის სფეროში უნდა სრულდებოდეს. მათ შორის, კითხვები ეხებოდა რეგისტრაციისა და აღიარების ვალდებულებას, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვისა და პროდუქტის მიკვლევადობის წესებს. დოკუმენტის ძირითად ნაწილში კი, განხილულია ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც სოციალური მეწარმეებისა და მსგავსი ბიზნეს-ოპერატორების საბაზისო ვალდებულებებს არეგულირებს სურსათის უვნებლობის სფეროში.

ამასთან, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტზე, რომ წინამდებარე კვლევაში სოციალური მეწარმეები და მათი ვალდებულებები განხილულია, მცირე ბიზნეს-ოპერატორების ჭრილში, ხოლო იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავიანთი საქმიანობის მასშტაბით სცდებიან ასეთი სტატუსისთვის სავალდებულო მოთხოვნებს,[5] წყაროების სახით, მითითებულია ინფორმაცია იმ აქტების შესახებ, რომლებიც ასეთი დაწესებულებებისათვის, ალტერნატიულად, არეგულირებენ დოკუმენტში განხილულ საკითხებს.

---

[1] ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

[2] გამოიკითხა სოციალური საწარმოები, რომლებიც მომხმარებლებს/ბენეფიციარებს უზრუნველყოფენ კვებით.

[3] გამოიკითხა ის დღის ცენტრები, რომლებიც ბენეფიციარებს უზრუნველყოფენ კვებით.

[4] ძირითადად, გამოკითხულნი იქნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მათ ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე არ ჰქონდათ პასუხები სპეციფიურ საკითხებზე, დაკავშირება ხდებოდა სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელ პირებთან.

[5] სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად მცირე ბიზნესად განიხილება იმ ბიზნეს-ოპერატორის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს;

1. რეგისტრაციისა და აღიარების ვალდებულება

საქართველოში, სოციალურ საწარმოთა დიდი ნაწილი ოპერირებს, როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტი. მათგან, არც ერთის ერთობლივი შემოსავალი 100 000 ლარს არ სცდება. ისინი საგადასახადო კოდექსის თანახმად, არ ითვლებიან დღგ-ს გადამხდელებად (გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციის გარდა), ხოლო სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, ითვლებიან *მცირე ბიზნესად.*

იმ ვალდებულებათაგან, რომელიც სურსათის უვნებლობის სფეროში ბიზნეს-ოპერატორებს ეკისრებათ, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყოს რეგისტრაციისა და აღიარების მოვალეობა. ბიზნეს-ოპერატორის რეგისტრაცია მიზნად ისახავს სურსათის მიმწოდებელთა ერთიანი ბაზის ფორმირებას, ,,სურსათის ეროვნული სააგენტოს'' ურთიერთობის გამარტივებას ასეთ ორგანიზაციებთან და შესაბამისი მონიტორინგის ხელშეწყობას. აღიარების პროცედურა კი, მიზნად ისახავს წარმოების პროცესში მინიმალური სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების გარანტიების შექმნას.

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის'' მე-2 მუხლის თანახმად, ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება:

- სურსათის;
- ცხოველის საკვების;
- ცხოველის;
- მცენარის;
- ცხოველური და მცენარეული პროდუქტების;
- ვეტერინარული პრეპარატის;
- პესტიციდის;
- აგროქიმიკატის.

წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას, ითვლებიან ,,ბიზნეს-ოპერატორებად".

ამავე კოდექსის, მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ,,*ბიზნეს-ოპერატორი ვალდებულია, გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;* ხოლო მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, *აღიარებას ექვემდებარება ის ბიზნეს-ოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან (გარდა პირველადი წარმოებისა) ან/და გადამუშავებასთან.*

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით'',

აკრძალულია რეგისტრაციისა და აღიარების გარეშე იმ ბიზნეს-ოპერტორთა საქმიანობა, რომლებსაც ასეთი ვალდებულება აქვთ. კერძოდ, *ბიზნეს-ოპერატორის საქმიანობა შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე ისჯება ჯარიმით, 500 ლარის ოდენობით. იგივე ოდენობით ჯარიმა დაეკისრება პირს, თუ იგი საქმიანობას ეწევა შესაბამისი აღიარების გარეშე.*[6]

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი სოციალურ საწარმოებისა და დღის ცენტრების წარმომადგენელთა უმრავლესობისთვის ცნობილია რეგისტრაციის ვალდებულების შესახებ და მეტ-ნაკლებად,აქვთ ინფორმაცია შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებაც. თუმცა, განსხვავებული ვითარებაა აღიარების ვალდებულების თაობაზე ინფორმირებულობის თვალსაზრისით:

გამოკითხული 16 (თექვსმეტი) ორგანიზაციის (სოციალური საწარმოები და დღის ცენტრები) წარმომადგენელთაგან ათმა განაცხადა, რომ არ არის რეგისტრირებული ბიზნეს-ოპერატორად, ხოლო ექვსი მათგანი რეგისტრირებულია. ერთ-ერთმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ იგი თავს იკავებს რეგისტრაციისაგან, რადგან მიაჩნია, რომ ბიზნეს-ოპერატორის სტატუსი კონფლიქტში მოდის არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმასთან. ერთ-ერთმა რესპოდენტმა კი, რეგისტრაციის გაუვლელობის მიზეზებზე საუბრისას განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესრულება დიდი დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამავე დროს, გამოკითხული ორგანიზაციებისგან, შეკითხვაზე - ,,შეგქმნიათ თუ არა რაიმე დაბრკოლება ბიზნეს-ოპერატორად დაურეგისტრირებლობის გამო ან რეგისტრაციის პროცესში?'' - თერთმეტმა განაცხადა, რომ მათ არავითარი პრობლემა, ამ მხრივ, არ შექმნიათ, ოთხმა განაცხადა, რომ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან, მიიღეს სიტყვიერი გაფრთხილება და მიეწოდათ ცნობები შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო ერთმა განაცხადა, რომ ამგვარი მითითება მიიღო საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებისაგან.

რაც შეეხება შეკითხვას - გავლილი აქვს თუ არა ორგანიზაციას აღიარების პროცედურა სურსათის ეროვნულ სააგენტოში? - ყველა გამოკითხულმა განაცხადა, რომ არ სმენია ამგვარი ვალდებულების შესახებ და მისი დარღვევისთვის არასდროს შექმნია დაბრკოლებები. ასევე, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა, მოჰყვეს აღიარების პროცედურის შეუსრულებლობას.

გამოკითხვის შედეგების ფონზე, საინტერესოა, განვიხილოთ ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციისა და აღიარების პირობები და რამდენად არის ეს სირთულეებთან დაკავშირებული:

[6] ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის'' 64-ე მუხლი

1.1. რეგისტრაცია

ორგანიზაციის ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაცია შესაძლებელია იურიდიული პირის დაფუძნებისას ან შემდგომ, ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც ეს სავალდებულო ხდება სუბიექტის საქმიანობიდან გამომდინარე:

,,საჯარო რეესტრის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ,,თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში (ორგანიზაციის დაფუძნებისას) მითითებულია, რომ სუბიექტის საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებასთან, პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებასთან, მარეგისტრირებელი ორგანო, იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტის ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით'' გათვალისწინებულ ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის შესახებ.''

არსებითად იგივე შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით ,,მეწარმეთა შესახებ'' კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტში.[7]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, [8] ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციას, აგრეთვე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციას, ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

<u>რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირებს და წარადგინოს:</u>

1. განცხადება ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის თაობაზე [9].

---

[7] ,,თუ პირის საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებასთან, პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებასთან, სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში ამის მითითება სავალდებულოა. ასეთი მეწარმე სუბიექტის ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის დამატებითი პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით, ხოლო საფასური – საქართველოს მთავრობის დადგენილებით.''

[8] https://napr.gov.ge/p/879

[9] განცხადების და თანდართული კითხვარის შევსება შესაძლებელია მარეგისტრირებელ ორგანოში მიმღებ ოპერატორთან.

2. მომსახურების საფასური - 1 სამუშაო დღეში- 10 ლარი.

საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტო ასეთ მეწარმე სუბიექტებს აგრეთვე სთავაზობს შესაძლებლობას, *პორტალზე რეგისტრაციის გზით,* თავად დაარეგისტრირონ ან შეცვალონ რეესტრში შესული ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ, თუ ის დაკავშირებულია კვების პროდუქტების წარმოებასთან/დისტრიბუციასთან (იგივე ბიზნეს-ოპერატორად რეგიატრაცია). ამ შემთხვევაში, რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებულმა პირმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარუდგონოს *განცხადება* პორტალზე რეგისტრაციის შესახებ.

პორტალზე რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციას დაინტერესებული პირი მიიღებს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS)სახით, სადაც მიეთითება მინიჭებული მომხმარებლის სახელი და პაროლი.

პორტალზე უკვე რეგისტრირებულ მომხმარებელს, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მარტივად შეუძლია გაიაროს ავტორიზაცია თავისი მომხმარებლის სახელითა და პაროლით და ნებისმიერ დროს, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, დამოუკიდებლად შეიტანოს ცვლილებები საწარმოს საქმიანობის შესახებ და ელექტრონულად გადაიხადოს მომსახურების საფასური - 10 ლარის ოდენობით, სარეგისტრაციო სამსახურში მიუსვლელად.

აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაცია კონფლიქტში არ მოდის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან. ბიზნეს-ოპერატორის სტატუსი წარმოადგენს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებას და არის დამატებითი (სუპლემენტალური) აღნიშვნა, როგორც ბიზნეს-ოპერატორთა ერთიან ბაზაში, ასევე მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში.

ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას სუბიექტი იძენს ორგანული კანონის - ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის'' - საფუძველზე, რომელიც იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტია, ვიდრე ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.'' ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად:

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც, უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას.''

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ,,ბიზნეს-

ოპერატორად'' რეგისტრაცია კონფლიქტში მოდის ორგანიზაციის არასამეწარმეო სტატუსთან, საფუძველს მოკლებულია.

1.2. აღიარების პროცედურა

წინა პარაგრაფებში აღინიშნა, რომ ბიზნეს-ოპერატორი, *რომლის საქმიანობა უკავშირდება ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას (გარდა პირველადი წარმოებისა) ან/და გადამუშავებას,* ექვემდებარება სავალდებულო აღიარებას.

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის'' თანახმად, ცხოველური პროდუქტი განიმარტება, როგორც ,,ცხოველური წარმოშობის სურსათი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი.'' ცხოველის დეფინიცია კი, შემდეგია: ,,ნებისმიერი ხერხემლიანი თუ უხერხემლო ცხოველი (ყველა სახეობის ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, წყალხმელეთა ძუძუმწოვარი, ამფიბია, კიბოსნაირი, მოლუსკი, საინკუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი)''.

ამავე კოდექსის'' მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *ბიზნეს-ოპერატორის აღიარებას ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს-ოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.*

ბიზნეს-ოპერატორის აღიარების წესი დადგენილია *,,ბიზნეს-ოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებით.* აღნიშნული წესის მე-3 მუხლის (აღიარების პროცედურები) თანახმად, ბიზნეს-ოპერატორი აღიარებისათვის განცხადებით მიმართავს სურსათის ეროვნულ სააგენტოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

- ბიზნეს-ოპერატორის რეგისტრაციის ნომერი,
- ფაქტიური/იურიდიული მისამართი,
- საქმიანობის სახე,
- წარმოებული/გადამუშავებული ცხოველური წარმოშობის სურსათის სახეობა.

განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტო ადგილზე ახორციელებს ბიზნეს-ოპერატორის სახელმწიფო კონტროლს.

სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ბიზნეს-ოპერატორის აღიარებას, პირობით აღიარებას ან უარს აცხადებს მის აღიარებაზე კონტროლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

ბიზნეს-ოპერატორს აღიარება ენიჭება უვადოდ, თუ მისი საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. თუ სახელმწიფო კონტროლის შედეგებით დადგენილი იქნება, რომ ბიზნეს-ოპერატორის საქმიანობა სრულად არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ საწარმოს ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნებს, *სააგენტო ბიზნეს-ოპერატორს ექვსი თვის ვადით ანიჭებს პირობით აღიარებას და აძლევს მითითებებს შეესაბამობების აღმოსაფხვრელად.*

პირობითი აღიარების მინიჭებიდან ექვსი თვის შემდეგ, სააგენტო ახორციელებს განმეორებით სახელმწიფო კონტროლს, რომლის საფუძველზე:

- ბიზნეს-ოპერატორს უგრძელდება პირობითი აღიარება, თუ პირობითი აღიარების მინიჭებიდან განმეორებითი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებამდე ბიზნეს-ოპერატორის მიერ არ არის შესრულებული სააგენტოს მითითებები და მისი საქმიანობა სრულად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ან
- ბიზნეს-ოპერატორს ენიჭება აღიარება, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი კონტროლის საფუძველზე, ოპერატორს ან უუქმდება პირობითი აღიარება და წყვეტს საქმიანობას, ან ენიჭება სრული აღიარება.

აღიარებულ ბიზნეს-ოპერატორს, მათ შორის, პირობით აღიარებულ ბიზნეს-ოპერატორს, ენიჭება აღიარების ან პირობით აღიარების ნომერი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის/ქალაქის ინდექსს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) შესაბამისი სურსათის ჯგუფის ნომერს.

ინფორმაცია აღიარებული ბიზნეს-ოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, სააგენტოს მიერ მინიჭებული აღიარების ნომრის შესახებ, ასევე, წარმოებული/გადამუშავებული ცხოველური სურსათის სახეობების შესახებ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

1.3. აღიარების შეჩერება და გაუქმება

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე, ბიზნეს-ოპერატორის საწარმოო პროცესის შეჩერება იწვევს აღიარების შეჩერებას.

თუ ბიზნეს-ოპერატორი აღიარების შეჩერებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს საწარმოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, ის მიმართავს სააგენტოს აღიარების აღდგენის თხოვნით და სააგენტოს მიერ ხორციელდება მითითებების შესრულების შემოწმება.

სააგენტოს მიერ ბიზნეს-ოპერატორისათვის შეჩერებული აღიარების აღდგენა ხდება სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით.

ბიზნეს-ოპერატორის აღიარების გაუქმება ხდება, თუ:

- სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე ბიზნეს-ოპერატორს სააგენტოს მიერ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ექნება შეჩერებული აღიარება;
- აღიარების შეჩერების ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს;
- ბიზნეს-ოპერატორი მიმართავს სააგენტოს აღიარების გაუქმების მოთხოვნით.

ბიზნეს-ოპერატორი ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოო პროცესში ცვლილებების ან/და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

ბიზნეს-ოპერატორის აღიარების, პირობითი აღიარების, აღიარების აღდგენის უარის თქმის ან აღიარების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში ადმინისტრაციული წესით ან სასამართლოში.

1.4 ინიცირებული კანონპროექტი

მოქმედი კანონმდებლობით,კვების ბიზნეს-ოპერატორი, განურჩევლად იმისა, იქნება ეს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირი, ექვემდებარება რეგისტრაციას, ხოლო ცხოველური საკვების პროდუქტების მიმწოდებლები ექვემდებარებიან აღიარებასაც. *თუმცა, სოციალური საწარმოებისათვის და კვების მომსახურების გამწევი რესტორნებისა და დაწესებულებებისათვის, აღნიშნული მოთხოვნები დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში უფრო ლიბერალური გახდება:*

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ავტორობით, ინიცირებულია კანონპროექტი,

რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში'', მათ შორის, აღიარების მოთხოვნებსა და პროცედურებში. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, კოდექსში შემოდის საცალო ვაჭრობის ცნება, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად:

,,სურსათის დამუშავება ან/და გადამუშავება და მისი შენახვა რეალიზაციის ან საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების ადგილზე. საცალო ვაჭრობა მოიცავს სადისტრიბუციო ტერმინალებს, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, საწარმოებში არსებულ სასადილოებს, ორგანიზაციებში კვების ობიექტებს, რესტორნებს და სურსათთან დაკავშირებულ სხვა მსგავს მომსახურებას, მაღაზიებს (მათ შორის საბითუმო მაღაზიებს) და სუპერმარკეტების სადისტრიბუციო ცენტრებს.".

ამავე დროს, იცვლება მე-13 მუხლის (რეგისტრაცია და აღიარება) მე-3 ნაწილი. ახალი რედაქციის თანახმად, სავალდებულოა იმ ბიზნეს-ოპერატორის აღიარება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია: ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან, გარდა ბიზნეს-ოპერატორისა, რომლიც ახორციელებს:

ა) ოჯახური წარმოებას;
ბ) პირველად წარმოებას;
გ)ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას ტრადიციული მეთოდების[10] გამოყენებით;
დ) ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას მაღალმთიან რეგიონში;
ე) პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისთვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
ვ) ფერმაში დაკლული ფრინველის და ბოცვრისნაირების ხორცის, გარეული ცხოველისა და ფრინველის ნანადირევის ან ნანადირევის ხორცის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
ზ)ცხოველური წარმოშობის ისეთი სურსათის შენახვას, რომელიც არ საჭიროებს კანონმდებლობით დადგენილ ტემპერატურის კონტროლს;
თ)საცალო ვაჭრობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საცალო ვაჭრობა ხორციელდება სხვა

[10]ტრადიციული მეთოდი – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, გადამუშავება ან/და დისტრიბუცია, აგრეთვე პირველადი წარმოება ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობისთვის გადაცემული მეთოდების გამოყენებით, ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისა და სხვა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობების ჩათვლით;

საწარმოსთვის ცხოველური წარმოშობის სურსათის მიწოდების მიზნით.

<u>აღიარებას აგრეთვე დაექვემდებარება ის ბიზნეს-ოპერატორი რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია იმ ცხოველის საკვების წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.</u>

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ნორმების ამოქმედების შემთხვევაში, ბიზნეს-ოპერატორები, რომლებიც საცალო ვაჭრობით იქნებიან დაკავებულები - მაშასადამე, განახორციელებენ სურსათის დამუშავებას ან გადამუშავებას რეალიზაციის ან საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების ადგილზე (რესტორნები, კაფეები, სასადილოები და სხვ.) აღარ იქნებიან ვალდებულნი დაექვემდებარონ აღიარების პროცედურას.

2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

2.1. გამოკითხვის შედეგები

დაწესებულებები, რომლებიც ეწევიან საზოგადოებრივი მოხმარების მომსახურებებს, ვალდებულნი არიან, დაიცვან უსაფრთხოების მოთხოვნები. მათ შორის, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებები ექვემდებარებიან სპეციალურ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესახებ, რესპოდენტებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია - ყველა ორგანიზაცია უზრუნველყოფს ზოგადი ჰიგიენის დაცვას, თუმცა, მათი უმრავლესობა ვერ ასახელებს იმ ნორმატიულ აქტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ პროცესში. ისინი აცხადებენ, რომ აღნიშნულ ვალდებულებას, ძირითადად, დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე ასრულებენ.

გამოკითხვისას, ასევე იყო შემთხვევები, როდესაც *<u>ორგანიზაციები მიუთითებენ დამატებით ნორმატიულ აქტებზე, რომლებსაც სანიტარულ-ჰიგიენური ვალდებულებების შესრულებისას ეყრდნობიან.</u>* ასეთებია მაგალითად, *ტექნიკური რეგლამენტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ"* და *ტექნიკური რეგლამენტი - „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ"*. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ *<u>სურსათის უვნებლობის სფეროში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულება საკმარისი არ არის</u>* - ისინი აწესებენ დამატებით ვალდებულებებს სპეციფიური ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაცვა ასევე აუცილებელია. თუმცა, ბიზნეს-ოპერატორები ამ პროცესში, ძირითადად, უნდა ხელმძღვანელობდნენ **ტექნიკური რეგლამენტით –**

,,სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესი'' ან ,,ტექნიკური რეგლამენტით – ,,სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი.''

გამოკითხული 16 (თექვსმეტი) ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან რვამ განაცხადა, რომ არ იცის კონკრეტული ნორმატიული აქტის შესახებ, თუმცა, სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს უზრუნველყოფს დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძვეზე. მათ შორის, ერთ-ერთი სოციალური საწარმოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ მიზნით, მათ ორგანიზაციაში მოქმედებს შიდა რეგულაცია.

ორმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ ვერ დაასახელებდნენ აღნიშნული ვალდებულების მარეგულირებელ აქტს, თუმცა, *მათ ასეთი რეგულაციების ასლები გადასცეს ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის შემდეგ, კონსულტაციისას სურსათის ეროვნულ სააგენტოში.*

ერთ-ერთი სოციალური საწარმოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი ნორმატიული მასალა მიიღო ,,ევროპის ფონდის'' მიერ ორგანიზებული ტრენინგის დროს. ერთ-ერთმა რესპოდენტმა კი, გვიპასუხა, რომ ხელმძღვანელობს *,,ტექნიკური რეგლამენტით – სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესით''*. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, იგი სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვისთვის უნდა იყენებდეს *სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის **გამარტივებულ წესს.***

გამოკითხვისას სამი „დღის ცენტრის" წარმომადგენლებმა განაცხადა, რომ ხელმძღვანელობენ - ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 8 აპრილის №01-13/ნ ბრძანებით - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ''; ხოლო ორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №66 დადგენილებთ -,,ტექნიკური რეგლამენტით - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ''.

ამ შედეგების ფონზე, საყურადღებოა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები განსხვავებულია სხვადასხვა ბიზნეს-ოპერატორებისათვის. იმ ორგანიზაციებისთვის, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს (მცირე ბიზნესი), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის #534-ე დადგენილებით, დაწესებულია საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი:

2.2. ,,ტექნიკური რეგლამენტი – სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი''

ადგენს „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისგან“ განსხვავებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს, რომლებიც საგამონაკლისოდ ვრცელდება ბიზნეს-ოპერატორთა შეზღუდულ წრეზე, სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, მათ შორის, პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

ეს წესი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე[11] ბიზნეს-ოპერატორების გარდა, ასევე ვრცელდება იმ ბიზნეს-ოპერატორზე, რომელიც იყენებს ტრადიციულ მეთოდებს და ასევე, ბიზნეს-ოპერატორზე, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების არაქარხნული წესით წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას, ასევე, პირველად წარმოებას, მაღალმთიან რეგიონში.

„სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი'' ითვალისწინებს შემდეგ მოთხოვნებს:

2.2.1.ჰიგიენური მოთხოვნები პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების მიმართ

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ბიზნეს-ოპერატორმა უნდა განახორციელოს საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები. კერძოდ, ცხოველთა ჯანმრთელობასა და მცენარეთა სიჯანსაღესთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობაზე, მათ შორის, ზოონოზური [12] და ზოოანთროპონოზური [13] აგენტების მონიტორინგისა და კონტროლის პროგრამები.

ბიზნეს-ოპერატორმა, რომელიც მისდევს მეცხოველეობას, ნადირობას ან *აწარმოებს ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის პირველად პროდუქტს,* გარემოებიდან გამომდინარე, უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, წარმოებაში, გამოიყენოს სასმელი წყალი, ხოლო როცა დასაშვებია სუფთა წყალი;

---

[11]ბიზნეს-ოპერატორებზე, რომლებსაც ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის'' შესაბამისად, აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და რომელიც ახორციელებს სურსათის წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას, ასევე პირველად წარმოებას;

[12]ზოონოზური დაავადება – ცხოველის ისეთი გადამდები დაავადება, რომელიც ბუნებრივად გადაედება ცხოველიდან ადამიანს და ადამიანიდან ცხოველს;

[13] ზოოანთროპონოზური სნეულებები – ისეთი ინფექციური და ინვაზიური სნეულებები, რომლებიც ადამიანს ცხოველებიდან გადაეცემა;

- თავიდან აიცილოს მავნებლებისაგან პირველადი პროდუქტის დაბინძურება;
- ისე შეინახოს და გადაზიდოს პირველადი წარმოების ნარჩენები და საფრთხის შემცველი ნივთიერებები, რომ თავიდან აიცილოს პირველადი პროდუქტების დაბინძურება;
- საწარმოში ახალი ცხოველების შემოყვანის დროს გაატაროს პრევენციული ზომები ადამიანისათვის საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგოდ და ასეთ დაავადებებთან დაკავშირებით ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
- გაითვალისწინოს ცხოველებისაგან/მცენარეებისაგან აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგი, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის;
- გამოიყენოს საკვებ დანამატები და ვეტერინარული დანიშნულების სამედიცინო პრეპარატები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- გამოიყენოს მცენარეთა დაცვის საშუალებები, აგროქიმიკატები და ბიოციდები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიზნეს-ოპერატორმა, სათანადო წესით, გარკვეული პერიოდულობით, უნდა აწარმოოს და შეინახოს საფრთხეების გაკონტროლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებათა ჩანაწერები, მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ასეთ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოს და პირველადი წარმოების პროდუქტის მიმღებ ბიზნეს-ოპერატორს.

2.2.2. მოთხოვნები საწარმოს მიმართ

<u>სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესით,</u> საწარმოს მიმართ დაწესებულია ისეთი მოთხოვნები, როგორებიცაა საწარმოს რეგულარული დასუფთავება, საწარმოს შესაბამისი აღჭურვა და მისი ისე ორგანიზება, რომ არ ხდებოდეს ჭუჭყის დაგროვება, სურსათისა და ტოქსიკური მასალების ერთმანეთთან კონტაქტი, სურსათში მავნე აგენტების ჩაბუდება და კონდენსაცია, უზრუნველყოფილი იყოს დამაბინძურებლებისაგან (მათ შორის, მავნებლებისაგან) დაცვა, შესაბამისი ვენტილაცია, სურსათის/ცხოველის საკვების სათანადო ტემპერატურით დამუშავებისა და შენახვის პირობების დაცვა და სხვ.

2.2.3. მოთხოვნები იმ სათავსის მიმართ, რომლებშიც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება და გადამუშავება

სათავსი, სადაც ხდება სურსათის წარმოება ან/და გადამუშავება, უნდა იყოს მოწყობილი იმგვარად, რომ იძლეოდეს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციისას სურსათის დაბინძურებისაგან დაცვის საშუალებას. მათ შორის:

- იატაკის და კედლის (ტიხრების) ზედაპირი უნდა იყოს ადვილად გასაწმენდი და იძლეოდეს დეზინფიცირების საშუალებას;

- ჭერი მოპირკეთებული უნდა იყოს ისე, რომ ადვილად იწმინდებოდეს, არ ხდებოდეს ჭუჭყის დაგროვება, ობის წარმოქმნა, ნაწილაკების ცვენა და მინიმუმამდე იქნეს შემცირებული კონდენსატის წარმოქმნა;
- კარები უნდა იყოს ადვილად გასაწმენდი, შეწოვის უნარის არმქონე, ასვე უნდა იძლეოდეს დეზინფიცირების საშუალებას;
- ზედაპირები (მათ შორის, მოწყობილობის ზედაპირი), რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან, უნდა იყოს ადვილად გასაწმენდი და იძლეოდეს დეზინფიცირების საშუალებას. ამისათვის რეკომენდებულია იგი დამზადებულიიყოს გლუვი, რეცხვადი, კოროზიისადმი მდგრადი და არატოქსიკური მასალით;
- სათავსებში, რომლებშიც ხდება სურსათის წარმოება ან/და გადამუშავება, ყველა სახის დაკიდებული კონსტრუქციები დამონტაჟებული უნდა იყოს იმგვარად, რომ არ მოხდეს სურსათის დაბინძურება კონდენსატით. დაკიდებული კონსტრუქციები ადვილად უნდა სუფთავდებოდეს.

2.2.4. მოთხოვნები წყალმომარაგებისა და კანალიზაციისადმი

სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად ბიზნეს-ოპერატორი უნდა იყენებდეს ისეთი ხარისხის სასმელ წყალს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ამ მუხლებში, ასევე გაწერილია თუ როდის უნდა გამოიყენებოდეს სასმელი და როდის - სუფთა წყალი. მაგალითად, სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავებამდე, მათ შორის, თევზისა და სხვა ზღვის პროდუქტების გასარეცხად, შესაძლებელია სუფთა წყლის გამოყენება.

აქვეა გაწერილი მოთხოვნები საწარმოო ნარჩენების გატანისა და სადრენაჟო სისტემების მიმართ.

2.2.5. მოთხოვნები აღჭურვილობისა და მოწყობილობებისადმი

ყველა საგანი, აღჭურვილობა და მოწყობილობა, რომლებიც შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან:

- უნდა სუფთავდებოდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მათი დეზინფიცირება;
- უნდა იყოს ისეთი მასალისაგან დამზადებული, რომ მინიმუმამდე შემცირდეს დაბინძურების რისკი, შესაძლებელი იყოს მათი გაწმენდა დასაჭიროების შემთხვევაში, იძლეოდეს დეზინფიცირების საშუალებას.

2.2.6. მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ

ბიზნეს-ოპერატორმა სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებისათვის/ გადამუშავებისათვის არ უნდა მიიღოს ნედლეული, ინგრედიენტი ან ნებისმიერი სხვა მასალა, თუ ცნობილია ან არსებობს ეჭვი, რომ ისინი დაბინძურებულია მავნებლებით, პათოგენური მიკროორგანიზმებით, უცხო სხეულებით ან ტოქსიკურია, გაფუჭებულია ისეთ დონემდე, რომ მაშინაც კი, თუ მათი შენახვა, წარმოება ან/და გადამუშავება მოხდება ჰიგიენის წესის სრული დაცვით, საბოლოო პროდუქტი მაინც მავნებელი იქნება ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისათვის.

ბიზნეს-ოპერატორმა, სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის საჭირო ნედლეულის, ინგრედიენტის ან ნებისმიერი სხვა მასალის მიღებისას უნდა აწარმოოს ჩანაწერი მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ნედლეულის, ინგრედიენტის ან ნებისმიერი სხვა მასალის ჩაბარების თარიღის მითითებით.

<u>წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე სურსათი/ცხოველის საკვები დაცული უნდა იყოს ნებისმიერი ისეთი სახის დაბინძურებისაგან, რომელმაც შესაძლოა ის ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისათვის სახიფათოდ აქციოს, ან ისე დააბინძუროს, რომ მისი მოხმარება არამიზანშეწონილი გახდეს.</u>

პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კონკრეტული სურსათის/ცხოველის საკვების შენახვისათვის დადგენილი ტემპერატურის, ტენიანობის, აერაციის სათანადო რეჟიმი, რაც გამორიცხავს მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებას, პარაზიტების გამრავლებასა და ტოქსინების წარმოქმნას.

2.2.7.სურსათის/ცხოველის საკვების შეფუთვისათვის საჭირო მოთხოვნები

სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული ტარა და მასთან შეხებაში მყოფი მასალა, ასევე სურსათის/ცხოველის საკვების შესაფუთი მასალა უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ სურსათთან/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისას არ მოხდეს პროდუქტის დაბინძურება.

2.2.8.ნარჩენების შეგროვება და გატანა

სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენები გატანილი უნდა იყოს ისეთი საშუალებით, რომ გამოირიცხოს ნარჩენების გატანის პროცესში საწარმოს დაბინძურება. კონტეინერებით ნარჩენების გატანის შემთხვევაში ეს კონტეინერები ადვილად უნდა იწმინდებოდეს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მათი დეზინფიცირება.

2.2.9. დეზინფექცია

დასალაგებელი ინვენტარი, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები, აგრეთვე სადეზინფექციო საშუალებების დასამზადებელი ქიმიური ნივთიერებები უნდა ინახებოდეს ისე, რომ არ მოხდეს მათი შეხება შესაფუთ მასალასა და სურსათთან/ცხოველის საკვებთან.

სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების პროცესში გამოყენებული სარეცხი ან/და სადეზინფექციო საშუალებები არ უნდა იყოს ტოქსიკური ადამიანისათვის და საზიანო – სურსათისათვის/ცხოველის საკვებისათვის.

სადეზინფექციო ხსნარებისა და სხვა საშუალებათა გამოყენება უნდა იყოს აღრიცხული.

2.2.10. მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების ტრანსპორტირებისადმი

გადასაზიდი საშუალებები, ასევე კონტეინერები და შესანახი ჭურჭელი არ უნდა გამოიყენებოდეს სურსათის/ცხოველის საკვების გარდა სხვა პროდუქტის/მასალის/ნივთიერების გადასაზიდად, თუ შესაძლებელია, რომ ამან გამოიწვიოს სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურება. *ასეთ შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს გადასაზიდი საშუალებების, ასევე კონტეინერებისა და შესანახი ჭურჭლის შესაბამისი დასუფთავება/დეზინფექცია.*

გადასაზიდ საშუალებებში, ასევე კონტეინერებსა და შესანახ ჭურჭელში არსებული სურსათი/ცხოველის საკვები უნდა იყოს დაცული იმგვარად, რომ მინიმუმამდე შემცირდეს დაბინძურების რისკი. აუცილებლობის შემთხვევაში, გადასაზიდი საშუალებები, ასევე კონტეინერები და შესანახი ჭურჭელი უნდა უზრუნველყოფდეს სურსათისათვის/ცხოველის საკვებისათვის საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებასა და მათი მონიტორინგის საშუალებას.

2.2.11.პერსონალის პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობის მდგომარეობა

სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესით, საწარმოს პერსონალის მიმართ დადგენილი სხვადასხვა მოთხოვნები. მათ შორის, შესაბამისი (საჭიროების შემთხვევაში დამცავი) ტანსაცმლის ტარება, უსაფრთხოების წესების დაცვა, ზოგადი ჰიგიენის ნორმების უზრუნველყოფა და სხვ.

პერსონალს, რომელიც ინფიცირებულია ისეთი დაავადებით, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათის/ცხოველის საკვებით (მაგალითად, აქვს ინფიცირებული ჭრილობა, კანის ინფექცია, წყლული და სხვ.), არ უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავების პროცესში, თუკი არსებობს სურსათის/ცხოველის საკვების პირდაპირი ან არაპირდაპირი დაბინძურების შესაძლებლობა.

3. სურსათის უვნებლობის ვალდებულება

3.1. ზოგადი ვალდებულებები

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 18[1] მუხლის (ბიზნეს-ოპერატორის ვალდებულებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში) თანახმად:

„ბიზნეს-ოპერატორი თავისი საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია, უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.”

თუ ბიზნეს-ოპერატორს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ მის მიერ იმპორტირებული, წარმოებული, გადამუშავებული, სადისტრიბუციო ან ბაზარზე განთავსებული სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზარზე უკვე განთავსებული სურსათის/ცხოველის საკვების ამოსაღებად. თუ ასეთი სურსათი/ცხოველის საკვები მიწოდებულია საბოლოო მომხმარებლისთვის, ბიზნეს-ოპერატორმა მომხმარებელს ეფექტიანად, მისთვის გასაგები ფორმით, უნდა მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქციის ბაზრიდან ამოღების მიზეზების შესახებ.

<u>თუ ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები საკმარისი არ არის, ბიზნეს-ოპერატორმა უნდა გამოითხოვოს მომხმარებლისთვის მიწოდებული სურსათი/ცხოველის საკვები. ბიზნეს-ოპერატორი ვალდებულია, აღნიშნულ შემთხვევებში, მიღებული ზომების თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს.</u>

პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად ნორმებს ასევე ადგენს, *<u>საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.</u>* აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის(პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა) თანახმად:

„მწარმოებელი ვალდებულია, ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი. ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში. თუ მწარმოებელს შეუძლია ასეთი რისკის თავიდან აცილება, იგი ვალდებულია, განახორციელოს ყველა ღონისძიება ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად.”

აკრძალულია ისეთი პროდუქტის გავრცელება, რომელიც, ბიზნეს-ოპერატორის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე, არ შეესაბამება უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს.

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის''65-ე მუხლით, დაწესებულია პასუხისმგებლობა ბიზნეს-ოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღკვეთასთან ან ბაზრიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის:

ბიზნეს-ოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება ან ბაზარზე უკვე განთავსებული ან მომხმარებლისთვის მიწოდებული მავნე სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის კოდექსი სასჯელის ზომად განსაზღვრავს ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით.

ბიზნეს-ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრიდან გამოთხოვისა და ამ მიზნით მიღებული ზომების თაობაზე სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინებისთვის თავის არიდება კი, ისჯება ჯარიმით, 200 ლარის ოდენობით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი, ადგენს, რომ ,,*მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან დაუყოვნებლივ გამოთხოვასთან დაკავშირებით სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.''*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის უგულებელყოფა არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით და ამ ქმედების შედეგების მიხედვით, შესაძლოა, დადგეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობაც:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 251-ე მუხლი[14] 1-ლი ნაწილის თანახმად, *,,უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა, რაც არ შეესაბამება მომხმარებლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, აგრეთვე ისეთი ოფიციალური დოკუმენტის უკანონოდ გაცემა ან გამოყენება, რომელიც ადასტურებს ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება,*– ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.''

სსკ-ის 251-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამკაცრებს სასჯელს იგივე ქმედებისთვის, თუ მან გამოიწვია

[14]უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა

ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და ორი ან მეტი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება. ასეთი დანაშაულისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა ვადით სამ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

თუ იგივე ქმედებამ გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, სასჯელის სახით, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ოთხიდან შვიდ წლამდე.

რაც შეეხება პასუხისმგებლობას სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილი შეუსაბამობისა და მათი გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობისათვის, იგი ისჯება *ადმინისტრაციული წესით:*

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, *ისეთი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითების შეუსრულებლობა* – გამოიწვევს ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

ამავე მუხლის თანახმად, ასეთი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, *უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითების ახალი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ შეუსრულებლობა*– გამოიწვევს ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 1200 ლარის ოდენობით.

ისეთი შეუსაბამობის არსებობა, რომლის დროსაც აღმოჩენილია ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათი/ცხოველის საკვები და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შეუძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე. – გამოიწვევს ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით და საწარმოო პროცესის შეჩერებას.[15]

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვისკოდექსის 74[2] მუხლით, დაწესებულია პასუხისმგებლობა ***ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების რეალიზაციისათვის.*** კერძოდ, ასეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსება საბოლოო მომხმარებლისთვის მისაწოდებლად – გამოიწვევს მცირე ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა ბიზნეს-ოპერატორისას – 500 ლარის ოდენობით.

[15],,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვისკოდექსის''68-ე მუხლის მე-3 პუნქტი

სურსათის უვნებლობის ზოგადი მოთხოვნების განხილვის ფონზე, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნას სასურსათო პროდუქტის ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დამდგენი ძირითადი რეგულაცია და ასევე, ის სიახლეები, რომლებიც ამ სფეროში 2016 წლიდან შედის ძალაში:

3.2. ქიმიური და ფიზიკური, ხარისხისა და უსაფრთხოების მახასიათებლები

3.2.1. მოქმედი რეგულაცია

სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნები და შესაბამისი სავალდებულო ნორმატივები დადგენილია სხვადასხვა რეგულაციებით. მათ შორის, სასურსათო პროდუქტების ქიმიური და ფიზიკური, ხარისხისა და უსაფრთხოების მახასიათებლები, მოცემულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანებაში - *„სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა დ ანორმების დამტკიცების შესახებ".*

აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება საკვები პროდუქციის დამუშავების ეტაპებზე და წარმოებაში პროდუქციის ახალი სახეობის ჩაშვების, მისი გადამუშავების, წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, შესყიდვის, ქვეყანაში შემოტანისა და რეალიზაციის დროს (საკვები პროდუქციის მიმოქცევისას).

ზემოთხსენებულ ბრძანებაში დეტალურადაა გაწერილი:

ა) ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი - ამ ქვეთავში პროდუქტის სახეობების მიხედვით მოცემულია ის სანიტარული დარღვევები, რომლებიც დაუშვებელია პროდუქტის ბრუნვის ნებისმიერ ეტაპზე. მაგალითად, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, ჰიგიენური ნორმატივები მოიცავს 4 ჯგუფის მიკროორგანიზმების კონტროლს:

- სანიტარიულ-მაჩვენებლები[16]
- პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმები[17]:
- პათოგენური მიკროორგანიზმები, მ.შ. სალმონელები;
- გაფუჭების მიკროორგანიზმები - ძირითადად საფუარისა და ობის სოკოები.

ბ) სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების ჰიგიენური ნორმატივები - ამ ქვეთავში მოცემულია ცხრილი თუ რა სახის პროდუქციაში რა სახის და რა ოდენობის ქიმიური ელემენტების შემცველობაა დაშვებული.

[16] რომლებსაც მიეკუთვნება მეზოფილური აერობული და ფაკულტატიური ან აერობული მიკროორგანიზმების რაოდენობა (Mafanmr) და ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები - NCBJ (კოლიფორმები);

[17] E.coli, S.aureus, Proteus-ის გვარის ბაქტერიები, B.cereus და სულფიტ მარედუცირებელი კლოსტრიდიები;

გ) საკვები პროდუქტებისა და სასურსათო ნედლეულის საკვები ღირებულების ჰიგიენური შეფასება - აქ პროდუქტების სახეობათა მიხედვით, გაწერილია მათში ცილის, ცხიმის, ნახშირწყლების შემცველობისა და მათი ენერგეტიკული ღირებულების (კკალ/100 გ) ნორმები.

დ) ბავშვთა კვების პროდუქტების ხარისხის და უსაფრთხოების ჰიგიენური ნორმატივები - ამ ქვეთავში კომპლექსურადაა გაწერილი სხვადასხვა სახეობის ბავშვთა პროდუქტების მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნები.

ე) ცალკე ქვეთავშია მოცემული **მეცხოველეობის პროდუქტებში ვეტერინალური (ზოოტექნიკური) პრეპარატების ნარჩენების მაქსიმალური დონეები,** რეკომენდებული კონტამინანტებისა და საკვებდანამატების FAO/WHO გაერთიანებული კომიტეტის ექპერტების მიერ.

ვ) თევზპროდუქტების და ქვეწარმავლების გადამუშავების პროდუქტების უსაფრთხოების და ხარისხის მაჩვენებლები.

ზ) ძირითადი მოთხოვნები საკვები პროდუქტების კვებითი ღირებულების ნიშანდებისთვის.

თ) საკვებდანამატების ნუსხა, რომელთა გამოყენება აკრძალულია საკვები პროდუქტების წარმოებისას;

ი) სხვა მოთხოვნები, რომლებსაც დეტალურად არ მიმოვიხილავთ, წინამდებარე დოკუმენტის მიზნებთან ნაკლებად რელევანტურობის გამო.

„სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" მთავრობის დადგენილების პარალელურად, 2016 წლიდან (1 იანვრიდან და 1 ივლისიდან) ძალაში შედის მთავრობის 2 ახალი დადგენილება, რომლებიც ნაწილობრივ აუქმებენ ხსენებული აქტის მოთხოვნებს და აწესებენ ახალ სტანდარტებს:

3.2.2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"

მიღებულ იქნა სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით. ეს ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას სურსათთან დაკავშირებულ მიკრობიოლოგიურ რისკებთან მიმართებაში.

ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სხვადასხვა სახეობის სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებს – მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს და ასევე, განსაზღვრავს ბიზნეს-ოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჰიგიენის წესის შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ტექნიკური რეგლამენტი არ არის ამომწურავი და ამ აქტით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, ბიზნეს-ოპერატორმა უნდა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ტექნიკური რეგლამენტი, უვნებლობის ზოგად ნორმებთან ერთად, სურსათის სახეობების მიხედვით ადგენს *ცხრილს პროდუქტის მიკროორგანიზმებით, ტოქსინებითა და მეტაბოლიტების შემცველობის დასაშვები ნორმების შესახებ.*[18]

3.2.3. მეორე ნორმატიული აქტი - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება -„სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე''

მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას სურსათთან დაკავშირებულ ქიმიურ რისკებთან მიმართებაში.

ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

ამ რეგულაციით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება მცენარეულ და ცხოველურ პროდუქტზე, ან მათ ნაწილებზე, რომელიც გამოიყენება როგორც გადაუმუშავებელი, ასევე გადამუშავებული სახით ან, როგორც შერეული სურსათი.

ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრისა და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისობის შეფასება ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში.[19]

აღნიშნული ნორმატიული აქტი ამოქმედდება 2016 წლის 1 ივლისიდან და მისი მოთხოვნების შესრულება სავალდებულო იქნება ყველა ბიზნეს-ოპერატორისათვის საქართველოს ტერიტორიაზე.

---

[18]დეტალური ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ საქართველოს ,,საკანონმდებლო მაცნის'' ვებ-გვერდზე - https://matsne.gov.ge/ka

[19]დეტალური ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ საქართველოს ,,საკანონმდებლო მაცნის'' ვებ-გვერდზე - https://matsne.gov.ge/ka

3.3. გამოკითხვის შედეგები

ზემოთ წარმოდგენილი საკანონმდებლო დებულებების გაცნობისას, ნათელია, რომ სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები საკმაოდ კომპლექსური ხასიათისაა და მათი დარღვევისთვის გათვალიწინებულია საკმაოდ მკაცრი სანქციები. მიუხედავად ამისა, საქართველოში მოქმედ სოციალურ საწარმოებს, მწირი ინფორმაცია აქვთ აღნიშნული ვალდებულებებისა და მათი დარღვევის შედეგების შესახებ:

ჩვენ მიერ გამოკითხული 16 ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან, კითხვებზე - *,,სურსათის უვნებლობის მოთხოვნათა დაცვისას რომელი ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობთ?''* და *,,რა იცით ამ მოთხოვნათა დაუცველობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ?* – ცამეტმა გვიპასუხა, რომ ორგანიზაციის საქმიანობისას ისინი უზრუნველყოფენ სურსათის უსაფრთხოებას, თუმცა არ შეუძლიათ დაასახელონ ის ნორმატიული აქტები, რომლებითაც ამ პროცესში ხელმძღვანელობენ. მათ შორის, ორმა გამოკითხულმა განაცხადა, რომ ბენეფიციარებისათვის ისინი ძირითადად, საკვებს გარე წყაროსგან - გარე მომწოდებლებისაგან ყიდულობენ და ამიტომ, ისინი ყურადღებას აქცევენ მხოლოდ პროდუქტის ვადას, გემოს, გარეგნულ იერსახეს და სხვა მსგავს მახასიათებლებს. ამავე დროს მათ განაცხადეს, რომ მიუხედავად ამისა, არ იცოდნენ საკუთარი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების შესახებ.

გამოკითხვისას ერთ-ერთი სოციალური საწარმოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ ორგანიზებული ტრენინგების ფარგლებში, მიეწოდა ინფორმაცია სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ვალდებულებების შესახებ და ასევე, შესაბამისი ნორმატიული აქტების ასლები. ერთ-ერთმა გამოკითხულმა კი, განაცხადა, რომ მსგავსი ტრენინგითა და ინფორმაციით უზრუნველყო ,,ევროპის ფონდმა''.

<u>ერთ-ერთი გამოკითხულის ინფორმაციით, მან ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის შემდეგ, სურსათის ეროვნულ სააგენტოში კონსულტაციის დროს მიიღო ყველა იმ ნორმატიული აქტის ასლი, რომელიც უნდა დაიცვას სურსათის უვნებლობის სფეროში.</u>

4. მიკვლევადობა

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით'' გათვალისწინებული კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც ბიზნეს-ოპერატორებს ეკისრებათ, არის პროდუქტის წარმოშობის მიკვლევადობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის თანახმად, *<u>ბიზნეს-ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების,</u>*

ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის მიკვლევადობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.

მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია, ბიზნეს-ოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. ამისათვის, ბიზნეს-ოპერატორს შემოღებული უნდა ჰქონდეს სისტემები და პროცედურები, რომლებიც ამგვარი ინფორმაციით უზრუნველყოფს კომპეტენტურ ორგანოებს მოთხოვნისამებრ.

აღსანიშნავია, რომ სურსათის მიკვლევადობა, ამა თუ იმ ფორმით, უზრუნველყოფილია ყველა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვას სწორად აწარმოებს. *თუმცა, ბუღალტრული დოკუმენტაციის არსებობა ამ ვალდებულების სრულყოფილი შესრულებისათვის საკმარისი არ არის და აუცილებელია იმ დებულებების დაცვა, რომლებიც მიკვლევადობის პროცედურას არეგულირებს.*

ჩვენ მიერ გამოკითხული ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობაც(16), მიკვლევადობის პროცედურასთან დაკავშირებით პასუხობს, რომ ამ ვალდებულებას ასრულებენ ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტების, სასაქონლო ზედნადებების, მარტივი შესყიდვის აქტების, ფორმა #2-ის ასლების და სხვა დოკუმენტების შენახვით, თუმცა, აქვე აფიქსირებენ, რომ არ სმენიათ იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელიც ამ პროცესში უნდა დაიცვან.

თექვსმეტი გამოკითხული ორგანიზაციიდან, ცამეტის წარმომადგენელს, ასევე არ სმენია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობას შესაძლოა, მოჰყვეს; ხოლო სამმა მათგანმა განაცხადა, რომ სმენია კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმის შესახებ.

განვიხილოთ, თუ რას გულისხმობს სურსათის მიკვლევადობის უზრუნველყოფა და რომელი ნორმატიული აქტი არეგულირებს ამ პროცედურას:

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით'', მიკვლევადობა განიმარტება, როგორც ,,სურსათის/ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების,სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებული ტარისა და შესაფუთი მასალის, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან აგროქიმიკატის შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.''

ამავე კანონით, დაწესებულია პასუხისმგებლობა პროდუქტის პირველადი წარმოების მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის:

„სურსათის/ცხოველის საკვების და პირველადი წარმოების მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, გამოვლენილი მონიტორინგის დროს, გამოიწვევს ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.”

მიკვლევადობასთან დაკავშირებული უფრო დეტალური მოთხოვნები მოცემულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის 577-ე დადგენილებაში - *„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”*, რომელიც 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა:

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე მიკვლევადობის დანერგვას უზრუნველყოფს ბიზნეს-ოპერატორი.

მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნებია:

- მიკვლევადობის სისტემებით, შესაძლებელი უნდა იყოს შეუსაბამო პროდუქციის წარმოქმნის მიზეზის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, ასეთი პროდუქციის ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით, სათანადო ზომების გატარება;
- მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია, ბიზნეს-ოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს; მას შემოღებული უნდა ჰქონდეს სისტემები და პროცედურები, რომლებიც ამგვარი ინფორმაციით უზრუნველყოფს სააგენტოს მოთხოვნისამებრ;
- მიკვლევადობის დროს დოკუმენტირებული უნდა იქნეს პროდუქციის ისტორია ან/და მისი ადგილმდებარეობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;
- წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნეს-ოპერატორს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მოახდინოს უშუალო მიმწოდებლისა და უშუალო მომხმარებლის იდენტიფიცირება, გარდა საბოლოო მომხმარებლისა.

ბიზნეს-ოპერატორი ვალდებულია, დოკუმენტირებული ჰქონდეს:

- მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ფაქტობრივი მისამართი;
- პროდუქციის პარტიის ჩაბარების თარიღი;
- დოკუმენტური ინფორმაცია ტრანსპორტირების ვადების შესახებ;

- ყველა სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მიკვლევადობის სრულყოფილად განხორციელებას.

ბიზნეს-ოპერატორი ასევე ვალდებულია, განსაზღვროს მიკვლევადობაზე პასუხისმგებელი პირი.

,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ასევე განსაზღვრულია *სპეციალური მოთხოვნები ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობისთვის.* ისინი ვრცელდება მხოლოდ გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის მიკვლევადობისათვის და არ ეხება სურსათს, რომელიც შედგება მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათისაგან.

ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელი ბიზნეს-ოპერატორი უნდა ფლობდეს და სააგენტოს მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდოს შემდეგი სახის დოკუმენტური მონაცემები:

- გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის ზუსტი აღწერილობა;
- გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის მოცულობა ან რაოდენობა;
- იმ ბიზნეს-ოპერატორის დასახელება და მისამართი, ვისგანაც გაიგზავნა გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი;
- ტვირთის გამგზავნი (მფლობელი) ბიზნეს-ოპერატორის დასახელება და მისამართი;
- ბიზნეს-ოპერატორის დასახელება და მისამართი, რომელთანაც გაიგზავნა გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი;
- გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის მიმღები ბიზნეს-ოპერატორის დასახელება და მისამართი;
- საჭიროების შემთხვევაში, გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის პარტიის ან ტვირთის იდენტიფიკაციის მონაცემები;
- გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათის გაგზავნის თარიღი.

აღნიშნული მონაცემები განახლებულ უნდა იქნეს ყოველდღიურად. ბიზნეს-ოპერატორი ვალდებულია, მონაცემები შეინახოს იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც გადამუშავებული და გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის სურსათი, სავარაუდოდ, მოხმარებულ იქნა.

ამრიგად, ნათელია, რომ ბიზნეს-ოპერატორის მიერ მიკვლევადობის პროცედურის სწორი წარმოებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ბუღალტრული დოკუმენტაციის შენახვა. აღნიშნული ვალდებულების შესრულებისას აუცილებელია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის 577-ე დადგენილებით დადგენილი პროცედურის უზრუნველყოფა.